ჩვენი შუამავლის უხმო მეგობრები

3

# გამოქვაბულის მცველები


სემა ექერი

მხატვარი:
ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

თურქეთის რესპუბლიკის სამმართველო
დიანეთის საქმეთა სამმართველო

გამოქვაბულის მცველები
სემა ექერ

გამოცემის ხელმძღვანელი : ჯაფერ თარარ დოიმაზ
გამოცემის კოორდინატორი : იუნუს იუქსელ
რედაქტორი : ზეინეფ ულვიე ოზქან
შესწორება : ზეინეფ სელინ თერზი
გარეკანისა და შიდა დიზაინი : შერიმა ჩაქირ
გამოცემის მომზადება : ალი ჩინქი

მე-2 გამოცემა, ანკარა, სექტემბერი 2023

ისბნ : 978-625-435-586-8
2023-06-Y-0003-2455

სერტიფიკატის ნომერი : 12930

ქართულად თარგმნა : ნინო კახაძე
ქართული გრაფიკა : ბილალ ილქარ

# გამოქვაბულის მცველები

სემა ექერი
მხატვარი: ბუშრა ჯანთურქ დურმაზ

ამ წიგნის მფლობელი :)

______________________________

______________________________

muslim georgia

# ფარილთი,

## თეთრი ბუმბულიანი მტრედი იყო.

მეგობრებს ბევრს ეთამაშებოდა და ყველასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ჰეპლები, ბეღურები, კატები, ციყვები და კურდღლები ძალიან უყვარდა...



muslim georgia



muslim georgia

იყო ერთი ცხოველი, რომელიც ფარილთის ძალიან აინტერესებდა.

ეს ობობა იყო. ყველაზე მეტად კი ის აოცებდა, იმ წვრილი ძაფით ბუდეს როგორ იკეთებდა.

მეგობრებთან ერთად სათამაშოდ რომ მიდიოდა, ობობის ქსელს პოულობდა და ყურადღებით აკვირდებოდა.

თუმცა ერთი მეგობარი ობობაც კი არ ჰყავდა.

ნეტავი თუ არის შესაძლებელი,
ობობას
რომ დავუმეგობრდე?



muslim georgia



muslimgogo.jp



ერთ დღესაც დედას ჰკითხა:

## „დედა, შესაძლებელია ობობას რომ დავუმეგობრდე?“

დედამ უთხრა, რომ შეუძლია ობობას დაუმეგობრდეს ისევე, როგორც სხვა ცხოველებს და ერთი ამბავი მოუყვა:



muslim georgia

მრავალი წლის წინ, ჩვენი შუამავალი, ჰაზრეთი მუჰამმედი, მექაში ცხოვრობდა. იქ კი იყვნენ ადამიანები, რომლებიც მუსლიმებს ზიანს აყენებდნენ.

ჩვენმა შუამავალმაც გადაწყვიტა, რომ მეგობრებთან ერთად **მედინაში** გადასულიყო.



muslim georgia



ამ გადასახლებას

ჰიჯრა ეწოდება.

ჰიჯრასათვის მზადება დაუწყიათ.

ბარგი აქლემებს აჰკიდეს.

მუსლიმები ნელ-ნელა მედინას გზას დაადგნენ.

ჰაზრეთი მუჰამმედი კი თავის უახლოეს მეგობართან, ჰაზრეთ აბუ ბექირთან ერთად, ყველა მუსლიმის მექადან გასვლას ელოდებოდა.

muslim georgia

გარკვეული დროის შემდეგ, ჰაზრეთი მუჰამმედი თავის საუკეთესო მეგობართან, ჰაზრეთ აბუ ბექირთან ერთად გაუდგა გზას.

## საკმაოდ გრძელი გზის

გავლის შემდეგ ჩვენმა შუამავალმა და ჰაზრეთ აბუ ბექირმა აქლემები დატოვეს და ქვეითად გაუდგნენ გზას.



muslim georgia





muslim georgia

ძალიან დაიღალნენ და დასასვენებლად გზად არსებულ

ტაიფის (ტავრი, სევრი) გამოქვაბულში შევიდნენ.

გამოქვაბული პატარა და ვიწრო იყო.

გამოქვაბულში ყოფნისას ხმები შემოესმა.
თურმე მექაში მცხოვრები ბოროტი ადამიანები
ორი მეგობრის კვალს გაჰყოლია და
გამოქვაბულთან მისულან.





სწორედ ამ დროს,
ალლაჰმა ობობასა
და მტრედს
შუამავლის
დაცვა უბრძანა.

ობობა და მტრედი ჩაფიქრდნენ, „ჩვენს შუამავალსა და მის მეგობარს როგორ დავიცავთ?“ მათ ერთხმად გეგმა შეიმუშავეს.

ობობამ გამოქვაბულის შესასვლელში უზარმაზარი ქსელი გააბა.

მტრედმა კი გამოქვაბულის შესასვლელში ბალახებითა და ფოთლებით ბუდე გაიკეთა. თავისი კვერცხებიც ჩაალაგა.

ჩვენი შუამავლის დასაცავად ორივე გამოქვაბულის წინ იცდიდა.



muslim georgia



ბოროტი ადამიანები ფეხის ნაკვალევს მიჰყვნენ
და გამოქვაბულის შესასვლელამდე მივიდნენ.
და რას ხედავენ! გამოქვაბულის შესასვლელში
უზარმაზარი ქსელია. ერთ-ერთმა მათგანმა თქვა:

„მუჰამმედი და მისი მეგობარი შიგნით რომ
დამალულიყვნენ, ეს ქსელი გაირღვეოდა.“

შემდეგ კი გვერდით არსებულ მტრედს შეხედა.

muslim georgia

მეორე მათგანმა თქვა:

„მუჰამმედი და მისი მეგობარი აქ რომ მოსულიყვნენ, ეს მტრედი შეშინდებოდა და ნავიდოდა.“



muslim georgia

აი სწორედ ამგვარად იფიქრეს ბოროტმა ადამიანებმა, რომ გამოქვაბულში არავის იქნებოდა.

„ალბათ არასწორ ნაკვალევს გამოვყევით,“

თქვეს და გამოქვაბულს მოშორდნენ. ობობამ და მტრედმა ერთად იმოქმედეს და შეძლეს, ალლაჰის ბოლო შუამავლის, ჰაზრეთ მუჰამმედის დაცვა.

ძალიან ბედნიერნი იყვნენ, თავიანთი მოვალეობა რომ შეასრულეს.

ობობასა და მტრედის წყალობით ორმა მეგობარმა მშვიდად დაისვენა და გზა გააგრძელა.





მედინაში
მშვიდობიანად
ჩააღწიეს.

ჰიჯრას ისტორია რომ დასრულდა, ფარილთი მეგობრებს შეხვდა. ეს ამბავი მათაც მოუყვა. მათ ეს ამბავი პირველად მოისმინეს და

მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

სახლის წინ არსებულ ხურმის ხესთან ერთად მივიდნენ. ამ ხის ქვეშ ობობას ქსელი იყო.





„გამარჯობა მეგობარო ობობა. გინდა ჩვენთან ერთად ითამაშო? თუ შემოგვიერთდები, ძალიან გაგვიხარდება,“ - უთხრა ფარილთიმ.

„რა თქმა უნდა,“ - უთხრა გახარებულმა ობობამ.

ფირილთის კიდევ ერთი მეგობარი შეემატა.

ყველა ცხოველი, ჩიტი და ობობა ჩვენი შუამავლის უხმო მეგობარია.

